THE SPIRITUAL LIFE PATH AND MISSION OF SAINT SERAPION ZARZMELI

წმიდა სერაპიონ ზარზმელის სულიერი ცხოვრების გზა და მისია

Dali Betkhoshvili
Doctor of Philology, Associate Professor,
Samtskhe-Javakheti State University,
Akhaltsikhe, Rustaveli #113, 0800, Georgia
dali.betkhoshvili@yahoo.com
betkhoshvili68@yahoo.com
https://orcid.org/0000-0001-6947-160X

Abstract. An important place in the history of Georgian spiritual culture belongs to the monument "The Life of Saint Serapion Zarzmeli" by Basil Zarzmeli, which reflected the historical memory of the country, demonstrated the spiritual and material prosperity of Samtskhe-Javakheti and the Christian centers established in the region. It presented the historical, social, geographical, and cultural values of Samtskhe-Javakheti, which determined the advancement of the region on the path of development and advancement of the entire country, not only within the context of the national, but also within the context of the world Christian space.

The spiritual life of Saint Serapion is a manifestation of that type of asceticism that is constantly at the service of the country and expresses the alternation of God in the work of regulating the life of the world. The ascetic life and work of Saint Serapion of Zarzmeli and his spiritual brothers is a divine place, covered with spiritual protection, which is further enriched by the presence and work of the holy monks in this space, which is intended to be a helper and assistant to those living in the world; through the spiritual life of the holy monks, the desert dwellers, the connection between the world and the heavenly world was revealed; their labor, missionary path fulfills the function of the temple of God in this world. They are the continuers of the path that was laid in previous centuries, namely, since the sixth century, when thirteen holy Assyrian fathers entered Georgia. They scattered to various parts of Georgia to establish centers of Christian culture. They built and established churches and monasteries, the foundation of which determined the establishment of the Christian spirit throughout the country, the formation of a single, indivisible divine consciousness... Saint Serapion and his fellow spiritual brothers are destined to be the continuers of the above-mentioned mission. They expand the space for spiritual activity, establish and affirm the Christian faith.

On the impassable path of the world, Saint Serapion and his spiritual brothers struggle and establish a divine path, so that the life of the world may be regulated, and an indivisible unity may be established between man and God, which is part of the spiritual activity that the monks' elevated consciousness has embodied.

Saint Serapion of Zarzmeli, through his daily spiritual life, overcomes transience - death, which is the physical dissolution of a living being, but, at the same time, is the beginning of the transition to another existence; this faith and hope is instilled in earthly man by true faith - Christianity, which makes man aware of the fleetingness of time and the value of temporality, and against its background, the eternal existence granted by divine power.

Key words: Serapion of Zarzmeli, the path of spiritual life, spiritual mission, the Thirteen Assyrian Fathers, asceticism, the world, eternal existence.

დალი ბეთხოშვილი
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ახალციხე, რუსთაველის #113, 0800, საქართველო,
dali.betkhoshvili@yahoo.com
betkhoshvili68@yahoo.com
https://orcid.org/0000-0001-6947-160X

აბსტრაქტი. ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ბასილ ზარზმელის „წმიდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ძეგლს, რომელმაც ასახა ქვეყნის ისტორიული მეხსიერება, წარმოაჩინა სამცხის სულიერ-მატერიალური აღმავლობა და მხარეში დაფუძნებული ქრისტიანული კერები, მასში წარმოჩნდა სამცხის ისტორიული, სოციალური, გეოგრაფიული, კულტურული ღირებულებები, რამაც განსაზღვრა მხარის დაწინაურება მთელი ქვეყნის განვითარების და დაწინაურების გზაზე, არა მარტო ეროვნულ, არამედ მსოფლიო ქრისტიანული სივრცის კონტექსტის ფარგლებშიც.

წმიდა სერაპიონის სულიერი ცხოვრება ასკეტიზმის იმ სახის გამოვლენაა, რომელიც ქვეყნისაგან მოუწყვეტლად მის სამსახურში დგას და გამოხატავს ღმერთის მონაცვლეობას წუთისოფლის ცხოვრების მოწესრიგების საქმეში. წმიდა სერაპიონ ზარზმელის და მასთან მყოფი სულიერი ძმების ასკეტური ცხოვრების, სამოღვაწეო ადგილი საღვთოა, სულიერი საფარველით მოფენილი, რასაც მეტ შინაარსს სძენს წმიდა ბერების ამ სივრცეში დავანება და მოღვაწეობა, რომელიც წუთისოფელში მცხოვრებთა დამხმარედ, თანაშემწედ არის დასახული; წმიდა ბერების, მეუდაბნოეთა სულიერი ცხოვრებით გაცხადდა კავშირი წუთისოფელსა და ზესთასოფელს შორის; მათი სამოღვაწეო, სამისიონერო გზა ღვთის ტაძრის ფუნქციის აღმსრულებელია ამაქვეყნად. ისინი არიან იმ გზის გამგრძელებლები, რასაც საფუძველი ეყრება წინარე საუკუნეებში, კერძოდ, მეექვსე საუკუნიდან, როდესაც საქართველოში შემოვიდა წმიდა ათცამეტი ასურელი მამა, ისინი გაიფანტნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქრისტიანული კულტურის კერების დასაფუძნებლად, მათ ააშენეს და დაამკვიდრეს ეკლესია-მონასტრები, რომელთა დაფუძნებამ განსაზღვრა მთელი მასშტაბით ქვეყანაში ქრისტიანული სულის დამკვიდრება, ერთიანი განუყოფელი საღვთო ცნობიერების ჩამოყალიბება... წმიდა სერაპიონი და მისი თანმხლები თანამოღვაწე სულიერი ძმები სწორედ ზემოაღნიშნული მისიის გამგრძელებლებად არიან დასახული, ისინი აფართოებენ სულიერ სამოღვაწეო სივრცეს, ამკვიდრებენ და ამტკიცებენ ქრისტიანულ რწმენას.

წუთისოფლის გაუვალ გზაზე წმიდა სერაპიონი და მისი სულიერი ძმები იბრძვიან და ამკვიდრებენ საღვთო გზასავალს, რათა მოწესრიგდეს წუთისოფლის ცხოვრება, ადამიანსა და ღმერთს შორის დამკვიდრდეს განუკვეთელი ერთობა, რომელიც იმ სულიერად მოღვაწეობის ნაწილია, რაც შეითავსა ბერების ზეამაღლებულმა ცნობიერებამ.

წმიდა სერაპიონ ზარზმელი ყოველდღიური სულიერი ცხოვრებით სძლევს წარმავლობას _ სიკვდილს, რომელიც ხორციელად განქარვებადია ცოცხალი არსებისა, მაგრამ, ამავე დროს, საწყისია სხვა მყოფადში გადასვლისა; ამ რწმენას და იმედს მიწიერ ადამიანს უნერგავს ჭეშმარიტი რწმენა _ ქრისტიანობა, რომელიც კაცს შეაცნობინებს საწუთროს მედინობას და დროებითობის ღირებულებას და მის ფონზე ღვთაებრივი ძალის მიერ მინიჭებულ მარადიულ არსებობას.

საკვანძო სიტყვები: სერაპიონ ზარზმელი, სულიერი ცხოვრების გზა, სულიერი მისია, ცამეტი ასურელი მამა, ასკეტიზმი, წუთისოფელი, მარადიული არსებობა.

შესავალი. ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ბასილ ზარზმელის ძეგლს „წმიდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელმაც ასახა ქვეყნის ისტორიული მეხსიერება, წარმოაჩინა სამცხის სულიერ-მატერიალური აღმავლობა და მხარეში დაფუძნებული ქრისტიანული კერები, მასში წარმოჩნდა სამცხის ისტორიული, სოციალური, გეოგრაფიული, კულტურული ღირებულებები, რამაც განსაზღვრა მხარის დაწინაურება მთელი ქვეყნის განვითარების და წინსვლის გზაზე, არა მარტო ეროვნულ, არამედ მსოფლიო ქრისტიანული სივრცის კონტექსტის ფარგლებშიც.

მეთოდი. რადგან საკვლევი საკითხი ღრმაა და მრავალასპექტიანი, ცალმხრივი კვლევა ვერ შეძლებს პრობლემის ნათლად წარმოდგენას, მწერლის და ეპოქის ტკივილის წარმოჩენას, ამიტომ გამოყენებულია შედარებით-ისტორიული, ანალიზის და ჰერმენევტიკის მეთოდები; აღნიშნული მეთოდები უკეთ წარმოაჩენს კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებებს, ნათლად გამოკვეთს ავტორის სათქმელს, მის მსოფლმხედველობას. ყოველივე ამის გარეშე ვერ მიიღწევა საკითხის მეცნიერული გამოკვლევა.

შედეგები და მსჯელობა. საკითხის ამგვარი კვლევა წარმოაჩენს ეროვნული მწერლობის ღირებულებას და მნიშვნელობას ქართული კულტურის განვითარებაში, მის განუკვეთელ ერთიანობას წინარე ეპოქათა აზროვნებასთან და სახავს სამომავლო განვითარების პერსპექტივასაც; წარსულის მემკვიდრეობის ასეთ ჭრილში განხილვა წარმოაჩენს პრობლემის არსს, ეპოქის ღრმა სულისკვეთებას, მხატვრული აზროვნების ესთეტიკურ ღირებულებებს, აგრეთვე იკვეთება ისიც, რომ ქართულ ეროვნულ მემკვიდრეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის აზროვნების სივრცეში.

მერვე-მეცხრე საუკუნის უდიდესი სულიერი მოღვაწე წმიდა სერაპიონ ზარზმელი და მისი სულიერი ძმები სამცხეში შემოსვლისას ღმერთის ჩვენებითა და უწყებით იწყებენ ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობით საქმიანობას. წმიდა მამა სერაპიონი სამცხეში მოვიდა კლარჯეთიდან, რათა უდაბნო და უტყვი ქვეყანა, სამცხის ადგილი, გაეცხოველებინა, რაც გამოიხატებოდა სულიერი სიწმინდეების აღმართვაში, ეკლესიების დაფუძნებასა და ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრებაში, რადგან, თუკი ასეთი ღვაწლი გაიშლებოდა აღნიშნულ მხარეში, რასაკვირველია, ხელს შეუწყობდა რწმენის უფრო განმტკიცებას, სულიერი ცხოვრების მოფენას.

წმიდა სერაპიონის და მისი სულიერი ძმების სულიერი ღვაწლი გამოძახილია ბიბლიური სიბრძნის, გაცხადებული ძველ აღთქმაში: „შენთვის მოვსწყდებით ჩუენ მარადღე“ (ფს. 43, 22) (ბიბლია, 1989), რომელიც ახალ აღთქმაში შემდეგნაირად გამოითქვა: „მარადღე ქრისტესთვის მოვკუდები“ (ჰრომ. 8, 36) (ახალი აღთქუმაჲ, 2009).

წმიდა სერაპიონის სულიერი ცხოვრება ასკეტიზმის იმ სახის გამოვლენაა, რომელიც ქვეყნისაგან მოუწყვეტლად მის სამსახურში დგას და გამოხატავს ღმერთის მონაცვლეობას წუთისოფლის ცხოვრების მოწესრიგების საქმეში. ასკეტიზმი _ ეს იყო გზა ადამიანისათვის ეპოვა სხვა თავშესაფარი და თავისი ასკეტური ღვაწლით შესამჩნევი კვალი გაევლო არა მარტო საკუთარ, არამედ სხვათა არსებობაშიც; ასკეტური ცხოვრება გამოხატულებაა სინანულისა და სიმდაბლისა. უმთავრესი სათნოებები, რომლებიც წარმოაჩენენ ადამიანის სწრაფვას სრულყოფილებასთან , ღმერთთან მიახლოების რწმენის გზაზე. ასკეტური _ ბერ-მონაზვნური ცხოვრება მთავარი წყაროა ამ გზაზე შემდგარი ადამიანის სულიერი და ზნეობრივი სრულყოფილების მიღწევის გზაზე.

ასკეტიზმი ყალიბდება სამონასტრო ცხოვრების შემოსვლისა და დამკვიდრების პერიოდში, როცა ცამეტი ასურელი მამა შემოვიდა საქართველოში, თუმცა ნიშნები ადრეულ ეპოქაშიც შეიძლება ვივარაუდოთ. ჩემი აზრით, ფაქტობრივად, ასკეტური ცხოვრება ორ მთავარ საყრდენ მიმართულებას მოიცავს: 1. აჩვენებს ასკეტი მოღვაწის სულიერი მდგომარეობის სტატუსს, მის სისწორეს და ღირებულებას... და 2. სამონასტრო ცხოვრების წესს, მისიას, გამართლებას ადამიანის ამქვეყნიური არსებობის აღსრულების პროცესში. „... ბერ-მონაზონთათვის კი აუცილებელ სულიერ საზრდოს შეადგენდა ასკეტურ-მისტიკური ლიტერატურა...“ (კეკელიძე, 1980: 549). სულიერი ბერების მთავარი საზრდო ღმერთის სიყვარული, ქრისტიანული სარწმუნოების უდიდესი რწმენა და სამონასტრო აღმშენებლობის დიდი მოწოდება და სურვილია, რომელიც დააძლევინებს რთული გზის იმ სიძნელეებს, რაც უნდა განხორციელდეს შეჭირვებულ დრო-სივრცეში განფენილ ეკლიან სულიერ ცხოვრებაში.

წმიდა სერაპიონ ზარზმელის და მასთან მყოფი სულიერი ძმების ასკეტური ცხოვრების, სამოღვაწეო ადგილი საღვთოა, სულიერი საფარველით მოფენილი, რასაც მეტ შინაარსს წმიდა ბერების ამ სივრცეში დავანება და მოღვაწეობა სძენს, რომელიც წუთისოფელში მცხოვრებთა დამხმარედ, თანაშემწედ არის დასახული; წმიდა ბერების, მეუდაბნოეთა სულიერი ცხოვრებით გაცხადდა კავშირი წუთისოფელსა და ზესთასოფელს შორის; მათი სამოღვაწეო, სამისიონერო გზა ღვთის ტაძრის ფუნქციის აღმსრულებელია ამაქვეყნად. ისინი არიან იმ გზის გამგრძელებლები, რასაც საფუძველი ეყრება წინარე საუკუნეებში, კერძოდ, მეექვსე საუკუნიდან, როდესაც საქართველოში შემოვიდა წმიდა ათცამეტი ასურელი მამა, ისინი გაიფანტნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქრისტიანული კულტურის კერების დასაფუძნებლად, მათ ააშენეს და დაამკვიდრეს ეკლესია-მონასტრები, რომელთა დაფუძნებამ განსაზღვრა მთელი მასშტაბით ქვეყანაში ქრისტიანული სულის დამკვიდრება, ერთიანი განუყოფელი საღვთო ცნობიერების ჩამოყალიბება... წმიდა სერაპიონი და მისი თანმხლები თანამოღვაწე სულიერი ძმები სწორედ ზემოაღნიშნული მისიის გამგრძელებლებად არიან დასახული, ისინი აფართოებენ სულიერ სამოღვაწეო სივრცეს, ამკვიდრებენ და ამტკიცებენ ქრისტიანულ რწმენას... „რწმენა (სარწმუნოება) არის უხილავის რწმენა, დაბეჯითებით, როგორც ხილულისა“ (ებრ. 11, 1; 11, 27) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 34). მოვიტან ამონარიდს ილია ჭავჭავაძის ნააზრევიდან: „ყოველი საჭიროება ცხოვრებიდან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს მიამყნობთ ისე, რომ ამ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს“ (ქართული..., 1974: 26) (ჭავჭავაძე, 1953: 65-67).

წუთისოფლის გაუვალ გზაზე წმიდა სერაპიონი და მისი სულიერი ძმები იბრძვიან და ამკვიდრებენ საღვთო გზასავალს, რათა მოწესრიგდეს წუთისოფლის ცხოვრება, ადამიანსა და ღმერთს შორის დამკვიდრდეს განუკვეთელი ერთობა, რომელიც იმ სულიერად მოღვაწეობის ნაწილია, რაც შეითავსა ბერების ზეამაღლებულმა ცნობიერებამ; სერაპიონ ზარზმელის და მისი თანამოსაგრეების ასკეტიზმი შეცვლილია, გარდაქმნილია, წუთისოფლის სივრცეშია განფენილი და მასთან შეზრდილი, მათი ასკეტური ღვაწლი ამქვეყნიური საქმიანობით არის აღჭურვილი და გაშინაარსებული, რომელიც მიმართულია ცოდვების, წარმავლობის გარდაქმნისაკენ, ეს კი გამოხატულია სავანეების _ სენაკების და ეკლესიების, სულიერი ნიშების, ჯვრების დაფუძნებით, რომელიც მომასწავებელია საღვთო სიბრძნის დავანებისა და დამკვიდრებისა წარმავლობის დრო-სივრცეში, რასაც სხვა შინაარსი და ძალა ენიჭება _ უშინაარსო, მწირ უდაბნოს, დაცარიელებულ ყოფას ანაცვლებს ღრმა არსით აღბეჭდილი სულიერი არსებობა. მათი ღვაწლით ამქვეყნიური ცხოვრება არაამქვეყნიურად გარდაიქმნება, რადგან თვითონ ხომ არაამქვეყნიურნი არიან, როგორც სახარებაც გვამცნობს: „არაამქვეყნიური არიან“ (ებრ. 11, 9) (ბიბლიის ლექსიკონი, I, 2000: 406); ისინი მწირ უდაბნოში, „მშობლიურ მიწაზე, როგორც უცხო მხარეში სარწმუნოებით მწირობენ“ (ებრ. 11, 9) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 406). წმიდანები უცხო

გარემოში მიჰყვებიან ღმერთის მიერ ჩვენებულ გზას, ემორჩილებიან საღვთო მოწოდებას: „მწირობა „მორჩილებისა და გამოცდისათვის“ (2 სჯ. 8, 2) (ბიბლიის ლექსიკონი, I, 2000: 407). „მწირი, უცხოელი, მსხემი, ყარიბი _ „მწირი იმყოფებოდა ღმრთის მფარველობის ქვეშ“ (2 სჯ. 10, 18; ფს. 145, 9) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 405).

წმიდა სერაპიონის და მისი სულიერი თანამოსაგრეების სულიერი ცხოვრების გზა ღვთის განგებით არის განსაზღვრული. ბიბლიის მიხედვით: „განგება ღმრთისა არის განუწყვეტელი ზრუნვა ღმრთისა ყველა თავის საქმეზე“ (ფს. 32, 12-15; 103, 10-30; 135, 25; 144, 14-17; ეს. 46, 4; I პეტ. 5, 7; ლუკ. 12, 22-31) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 70).

ბიბლიის სწავლებით: „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვას ცხოვართათვის“ (ფს. 39, 6-8; ებრ. 10, 5-9; იოან. 10, 11. 15, 17-18; გალ. 1, 4; 2, 20; ეფეს. 5, 2; I ტიმ. 2, 6; ტიტ. 2, 14) ((ბიბლიის ლექსიკონი, I, 2000: 81); „გული უნდა იყოს მიმართული ღმრთის ძიებისაკენ“ (I მეფ. 7, 3; 2 ნეშტ. 11, 16; 19, 3; 30, 10; ეზრა, 7, 10; იობ. 11, 13; ფს. 56, 7) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 90).

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, უდაბნოში განხორციელებული, გატოლებულია მსხვერპლშეწირვასთან. „მსხვერპლი მორჩილებისა ითვლებოდა მსხვერპლშეწირვად ცოდვებისათვის“ (ლევიტ. 5, 6-9) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 374); „მსხვერპლი ცოდვებისათვის ითვლებოდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მსხვერპლშეწირვად“ (ლევიტ. 6, 25. 29) (ბიბლიის ლექსიკონი, I, 2000: 376). წმიდანის სულიერი ღვაწლი უსისხლო მსხვერპლის გაღების გამოვლენაა, ზეამაღლებული, ძე-ღმერთის საქმეებთან გათანაბრებული, რომელიც შეიძლება გადატანითი მნიშვნელობით გავაიგივეოთ ლოცვასთან: „ლოცვა (ფს. 140, 2) „მსხვერპლშეწირვის დრო _ ლოცვის დრო“ (ეზრ. 9, 5; დან. 9, 20-21; საქმე 3, 1) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 375).

წმიდა სერაპიონმა მწირობა, უცხოობა უდაბნოში გარდაქმნა ღმერთთან სიახლოვით და დაადგა ქრისტესმიერ გზას. უდაბნოში მან განახორციელა რწმენის მოფენა და გაამლიერა ქრისტესმიერი გზა წუთისოფელში, სადაც ჭირით, განსაცდელით სავსე ბნელი და ვიწრო ცხოვრება სულიერი არსებობის მარადიულობით უკვდავყო, უდაბნოში ბნელი გაურკვევლობა ნათლით შეცვალა და სიკეთე დაამკვიდრა. ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ნათელი წარუვალი მიიცვალა“ (ბასილ ზარზმელი, 1946), რითაც გაცხადებულია წმიდანის მარადიული ბუნების ღირებულება, რითაც წარმავალი ცოდვიანი ბუნება დათრგუნა, სათნო ცხოვრებით სათნოება განფინა მთელ თავის სამოღვაწეო სივრცეში; მათ მიერ განხორციელებული საქმეებით საცნაურ გახდა სულიერი ღვაწლის შინაგანი არსი და მისია.

წმიდანის გზა საღვთო სიყვარულითაა გაჯერებული წრფელი, უმაღლესი, ბიბლიურ მცნებებს და მისი სიბრძნით აღვსებულ სწავლებას დამორჩილებული, მტვირთველი იმ ჯვრისა, რომელსაც მიწიერის გაღვთაებრივება ჰქვია. ღვთაებრივი სრულყოფილების მომცველია წუთისოფელში. სულიერებით შემოსვა კი შეამცირებს ზღვარს, გზას ადამიანსა და ღმერთს შორის, რაც საღვთო სიყვარულით ეკავშირება ერთმანეთს; „ღმერთი სიყუარული არს“ (I იოან. 4, 8 (ახალი აღთქუმაჲ, 2009), სწორედ ღვთაებრივმა სიყვარულმა უნდა შეცვალოს და შეამსუბუქოს წუთისოფლის ტვირთი, დაიფაროს ამქვეყნიური ცოდვები და მოჰფინოს ნათელი წარმავლობაში, რომელიც არის ღმერთის შეცნობის, მისი მიღების და რწმენის მძლავრი გზა.

სახარების მიხედვით, „სიყვარული ღმრთის მიმართ პირველი და ყველაზე დიდი მცნებაა“ (მარკ. 12, 30; მათ. 22, 38) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 187); „სიყვარულს იესო ქრისტეს მიმართ მორწმუნენი ააშკარავებენ იმით, რომ იტვირთავენ თავიანთ ჯვარს“ (მათ. 10, 38; ლუკა, 14, 27) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 181).

წმიდა ეფრემის დამოძღვრით, „სიყვარული ყოველ სათნოებათა მიზეზია: „სიყვარული აღმასრულებელ არს ყოვლისა შჯულისაჲ... სიყვარულითა სიკვდილი

დაითრგუნა, ჯოჯოხეთი წარმოიტყუენა და ადამი აღმოიყვანა, სიყვარულმან განაღო სამოთხე და განამზადა სასუფეველი ცათაჲ“ (მამათა სწავლანი, 1955: 207).

წმიდანის სულიერი ცხოვრებით ამქვეყნიური არსებობა ღვთაებრივს ერწყმის, ადამიანი ღმერთს ეზიარება, მოწილე, მონაწილე ხდება მისი ღვთაებრივი არსისა, წუთისოფელი ეზიარება მარადიულს. სულხან-საბას მიხედვით, „ზიარება _ თანამონაწილე“; „ზიარი (+ 3 ეზრა, 5, 72) (ორბელიანი, 1991: 281). ცოდვის სადგური, წუთისოფლის მწუხარება სიკეთის სივრცედ უნდა გარდაიქმნას: „მწუხარება (+ 26, 27 მათე), ხოლო მწუხარებისა სახენი ოთხ არიან: მჭმუნვარება, ურვა, შური და წყალობა. მჭმუნვარება უკვე არს მწუხარება შემქმნელი უჴმოობისა, რომელს(ა) უწოდენ შთობად; ხოლო ურვა _ მწუხარება დამამძიმებელი და შური _ მწუხარება უცხოსა კეთილსა ზედა, ხოლო წყალობა _ მწუხარება უცხოსა ბოროტსა და ჭირსა ზედა (+ 34, 7 დაბად.) (ორბელიანი, 1991: 141).

წმიდა სერაპიონი სრულად არის აღჭურვილი ღმერთის რწმენით და სიყვარულით, ბიბლიური სიბრძნე მოსავს მას: „რომელმან მოიპოვოს სული თვისი, წარწყმიდოს იგი; და რომელმან წარწყმიდოს სული თვისი ჩემთჳს, მან პოვოს იგი“ (მათ. 10, 39; 16, 25; მარკ. 8, 35; ლუკ. 9, 24; 17, 33) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ა: 205).

საჭირველი გზის დაძლევისა და გადალახვისათვის სულიერი ბერებისათვის მნიშვნელოვანია ლოცვა. ბიბლიის მიხედვით, „ლოცვა არის გულის საუბარი ღმერთთან“ (ფს. 18, 14), მიმცემი ნუგეშისა დაბრკოლებების წინაშე, სულიერად გამაძლიერებელი, რომელიც მათ ყოველ სულიერ საფეხურს ურყევობას და სიმტკიცეს სძენს. „ლოცვა არს გონებით(ა) ღ˜ისა მიმართ აღსლვა ანუ თხოვა ჯეროვანი ღ˜თისაგან; ლოცვა არს ვედრება, არამედ განიყოფებიან, ლოცვა არს ლიტონი(ა)თა სიტყვითა ღ˜თისა შემწედ მოწოდება, ხოლო ვედრება ცრემლიანითა თვალთა და სიტყვითა“ (ორბელიანი 1991: 423). ლოცვის მეშვეობით გაიკვალება გზა ღმერთისაკენ, ეს კი ადამიანის ცოდვათა შემსუბუქებას მოასწავებს. ისინი აღჭურვილნი არიან ღმრთის შიშით, ღმრთის იმედით და იესო ქრისტეს მსგავსად, ტვირთულობენ შუამავლის მისიას შემოქმედ ღმერთსა და ცოდვითმოსილ ადამიანს, ზეციურსა და ამქვეყნიურს შორის... აღსავსე არიან იმ მადლით და ჭეშმარიტებით, რასაც უხვად აძლევს ღმერთი ადამიანს. შესაბამისად, მათ თან სდევს ღვთაებრივი სინათლე, რომელიც თანაშეეწევათ სულიერ მოღვაწეთ მსუბუქად ზიდონ უფლის უღელი, მძიმე და საპასუხისმგებლო: „აღიღეთ უღელი ჩემი თქვენ ზედა, და ისწავეთ ჩემგან: რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა; და ჰპოვოთ განსვენება სულთა თქვენთა. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი მსუბუქ არს“ (მათ. 11, 29-30) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 248).

წმიდა სერაპიონ ზარზმელი და მისი სულიერი თანამოსაგრეები ასახიერებენ ქრისტიანული ცხოვრების სახეს, რადგან მათ მიბაძეს ღმერთს ნებაყოფლობითი თვითამაღლებით... ისინი აღუდგნენ მრავალ წინააღმდეგობებს და განსაცდელს, დაძლიეს წუთისოფლის ბევრი საცთური და შეიმოსნენ ზეციური სრულყოფილებით. ბიბლიის მიხედვით, „ზეციურს უნდა ლაპარაკობდე და არა ამქვეყნიურს“ (კოლას. 3, 2) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 282).

წმიდა სერაპიონ ზარზმელი წუთისოფელში ღვთიური საქმეების დაფუძნებით ჭეშმარიტებას, სახიერებას მიეახლა: „ჭეშმარიტი არის სწორი, საქმის არსის შესაბამისობა“ (2 სჯ. 13, 14; 17, 4; იერ. 10, 4; მარკ. 5, 33; იოან. 4, 37; 19, 35; 3 იოან. 12) (ბიბლიის ლექსიკონი, 2000ბ: 404).

დასკვნა. წმიდანის მიერ სამონასტრედ განსაზღვრული შემოსაზღვრული გეოგრაფიული არეალის სივრცე, უპირველესად, ქრისტიანობის დაცვას ნიშნავდა, მაგრამ, ამავე დროს, ქვეყნის გეოპოლიტიკური და კულტურული მიმართულების თავისებურების ამსახველი იყო. ყოველივე ეს ნაბიჯი ჭეშმარიტი გზის რეალიზებას, საღვთო სიბრძნის დაუფლებას და მის ღრმა წვდომას მოასწავებდა.

წმიდა სერაპიონ ზარზმელი ყოველდღიური სულიერი ცხოვრებით სძლევს წარმავლობას - სიკვდილს, რომელიც ხორციელად განქარვებადია ცოცხალი არსებისა, მაგრამ, ამავე დროს, საწყისია სხვა მყოფადში გადასვლისა; ამ რწმენას და იმედს მიწიერ ადამიანს უნერგავს ჭეშმარიტი რწმენა - ქრისტიანობა, რომელიც კაცს შეაცნობინებს საწუთროს მედინობას და დროებითობის ღირებულებას და მის ფონზე ღვთაებრივი ძალის მიერ მინიჭებულ მარადიულ არსებობას.

გამოყენებული ლიტერატურა

ახალი აღთქუმაჲ, უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. (2009). დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით. თბილისი: საქართველოს საპატრიარქო. ალილო.

ბასილ ზარზმელი. (1947). ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი. წიგნში: *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია.* შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი.

ბეთხოშვილი, დ. (2022). *აკაკი წერეთლის შემოქმედების მსოფლმხედველობრივი პრობლემები.* მონოგრაფია. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ბეთხოშვილი, დ. (2022). სულიერი ცხოვრების გზის მხატვრული ფუნქცია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“. *ინტელექტი.* ტ. 25. # 2 (72). დეკემბერი. გვ. 50-55.

ბეთხოშვილი, დ. (2020). ლოცვის მხატვრული ფუნქცია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“. *ინტელექტი.* ტ. I. # 2 (67). აგვისტო; II. #1 (71). აპრილი. გვ. 65-71.

ბეთხოშვილი, დ. (2010). *სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში (იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამება“, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“).* თბილისი: უნივერსალი.

ბიბლია. (1989). საპატრიარქოს გამოცემა. თბილისი.

ბიბლიის ლექსიკონი (მასალები). (2000)ა. ტ. I. შემდგენლები ელ. გიუნაშვილი, ზ. კალანდაძე. რედ., ზ. სარჯველაძე. თბილისი.

ბიბლიის ლექსიკონი (მასალები). (2000)ბ. ტ. II. შემდგენლები ელ. გიუნაშვილი, ზ. კალანდაძე. რედ., ზ. სარჯველაძე. თბილისი.

მამათა სწავლანი. (1955). X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით. ილია აბულაძის გამოცემა. ა. შანიძის რედაქციით. თბილისი: მეცნიერება

ორბელიანი, ს. ს. (1991). *ლექსიკონი ქართული.* ტ. 1. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი: მერანი.

ქართული ლიტერატურის ისტორია. (1974). ტ. IV. თბილისი.

ჭავჭავაძე, ი. (1953). *თხზულებათა სრული კრებული.* ტ. 3. თბილისი.

REFERENCES

akhali aghtkumaø, uplisa chuenisa ieso krist'esi [The New Testament of the Lord Jesus Christ]. (2009). It was printed with the blessing of His Holiness the Catholicos-Patriarch of All Georgia. Tbilisi: Patriarchate of Georgia. Alilo.

basil zarzmeli. (1947). tskhovrebaω da mokalakobaω ghmert-shemosilisa net'arisa mamisa chuenisaω serap'ionisi [The Life and Citizenship of the God-Dressed Blessed Father Serapion]. In *dzveli kartuli lit'erat'uris krest'omatia [Chrestomathy of Old Georgian Literature]*. Compiled by Sol. Kubaneishvili. Vol. I. Tbilisi.

betkhoshvili, d. (2022). *ak'ak'i ts'eretlis shemokmedebis msoplmkhedvelobrivi p'roblemebi [Worldview Problems of Akaki Tsereteli's Creativity]*. Monograph. Vol. I. Tbilisi: Publishing House „Universali".

betkhoshvili, d. (2022). sulieri tskhovrebis gzis mkhat'vruli punktsia „serap'ion zarzmelis tskhovrebashi" [The Artistic Function of the Spiritual Path in "The Life of Serapion Zarzmeli"]. *int'elekt'i [Intellect]*. Vol. 25. #2 (72). dek'emberi. pp. 50-55.

betkhoshvili, d. (2020). lotsvis mkhat'vruli punktsia „serap'ion zarzmelis tskhovrebashi" [The Artistic Function of Prayer in the "Life of Serapion Zarzmeli"]. *int'elekt'i [Intellect]*. Vol. I. # 2 (67). agvist'o; II. #1 (71). ap'rili. pp. 65-71.

betkhoshvili, d. (2010). *sik'vdil-sitsotskhlis p'roblema dzvel kartul mts'erlobashi (iak'ob khutsesis „ts'mida shushanik'is ts'ameba", teimuraz p'irvelis „ts'ameba ketevan dedoplisa") [The problem of life and death in ancient Georgian literature ("The Martyrdom of St. Shushanik" by Yakob Khutse, "The Martyrdom of Queen Ketevan Dedofli" by Teimuraz Perevi]*. Tbilisi: Universali.

biblia [Bible]. (1989). Patriarchate Publications. Tbilisi.

bibliis leksik'oni (masalebi) [Dictionary of the Bible (materials)]. (2000)a. Vol. I. Compilers e. Gyunashvili, Z. Kalandadze. Ed., Z. Sarjveladze. Tbilisi.

bibliis leksik'oni (masalebi) [Dictionary of the Bible (materials)]. (2000)b. Vol. II. Compilers e-mail Gyunashvili, Z. Kalandadze. Ed., Z. Sarjveladze. Tbilisi.

mamata sts'avlani [Teachings of the Fathers]. (1955). According to manuscripts of the 10th and 11th centuries. Published by Ilia Abuladze. A. Edited by Shanidze. Tbilisi: Metsniereba

orbeliani, s. s. (1991). *leksik'oni kartuli [Dictionary Georgian]*. Vol. 1. According to the autograph lists, Ilia Abuladze prepared, researched and added a glossary of definitions. Georgian Academy of Sciences. K. Institute of Manuscripts named after Kekelidze. Tbilisi: Merani.

kartuli lit'erat'uris ist'oria [History of Georgian Literature]. (1974). Vol. IV. Tbilisi.

ch'avch'avadze, i. (1953). *tkhzulebata sruli k'rebuli [Complete Collection of Works]*. Vol. 3. Tbilisi.